საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/9

ქ.თბილისი

"01" მარტი 2015 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაცული ვადამოსული პერსონალური მონაცემების განადგურების ვადების განსაზღვრისა და განადგურების ჯგუფის შექმნის შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ე) ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კომისიის აპარატის საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ პირთა (ვიზიტორები) აღრიცხვის ჟურნალში შეტანილი, ან ცალკე საშვების სახით შეგროვილი ვადამოსული, 2 წელსა და 11 თვეზე მეტი ხნის ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემები განადგურდეს ყოველი თვის პირველ სამუშაო კვირას;
2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ პირთა (ვიზიტორები) აღრიცხვის ელექტრონულ რეესტრში შეტანილი ვადამოსული, 3 წლის ხნოვანების ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემები წაიშალოს ყოველ სამუშაო დღეს;
3. კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესულ და გასულ კომისიის აპარატში დასაქმებულ პირთა აღრიცხვის ელექტრონულ რეესტრს პროგრამულად დაემატოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად ვადამოსული, 3 წლის ხნოვანების ჩანაწერის შემცველი პერსონალური მონაცემების ავტომატურად წაშლის ფუნქცია, ყოველდღიური სიზუსტით;
4. წაიშალოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, ყოფილ დასაქმებულთა კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა–გასვლის ელექტრონულად აღრიცხული პერსონალური მონაცემები სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტიდან 1 თვის გასვლის შემდეგ, 5 სამუშაო დღეში, თუ არ არის წარმოშობილი შრომითი დავა;
5. განადგურდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაცული, კომისიის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კომისიის აპარატის საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად ვადამოსული (2 წლის ხნოვანების) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ტრაფიკის

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

(გამავალი, შემავალი და შიდა ზარები) ამსახველი CDR–ები ყოველი თვის პირველი სამუშაო კვირის განმავლობაში და შედგეს CDR–ების განადგურების აქტი;
6. შეიქმნას ვადამოსული პერსონალური მონაცემების განადგურების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა)კომისიის წევრი მერაბ ქათამაძე (თავმჯდომარე);
ბ) კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროს იოსებ ხარებავა;
გ) კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნათელა ჯანელიძე (მდივანი);
დ) კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ეკატერინე ჭახრაკია;
ე) კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი გუგული კვანტალიანი;
ვ) კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ალექსი ყანჩაველი.
7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
9. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე